№ 139 ივლისი 4, შაბათი 1892 „Иверія“ (ежедневно) Кутаисъ 2-ой гильд. куп. Беро гр. Пурцхванидзе ივლისი 4, შაბათი № 139

# ივერია

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

1877—1892 1877—1892

**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ-დასაბეჭდათ უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

**თავადი ივანე დავითის ძე ფავლენიშვილი** აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთა, რომ 7 ივლისს გორის მაზრის სოფელს ერედვში გარდახდილ იქმნება წლის წირვა და პანაშვიდი განსვენებულის **თავად დავით ივანეს ძის ფავლენიშვილის** სულის მოსახსენებლად.

(1—1)

## „ივერია“

გამოვა 1892 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

**ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1892 წლისათვის მიჰმართოს:**

ტფილისში: ა) თვითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეიაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დასაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

გამოვიდა ისტორიული თხზულება ანტონ ფურცელაძისა:

**ბრძოლა**

**საქართველოს მოსპობაზედ და საქართველოს შესაერთებლად,**

ანუ

გიორგი საკაძე და მისი დრო.

იყიდება ტფილისს და სხვა ქალაქებში, სადაც-კი აქვს ქართული წიგნების გამომცემს საზოგადოებას წიგნთსაწყობები. იყიდება აგრეთვე წერა-კითხვის საზოგადოების ბიბლიოთეკაში.

გამოვიდა და ისყიდება „წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში (Караванъ-сарай Земельн. банка № 125) ახალი წიგნი.

**რუხი მგელი**

მოთხრობა **გ. წერეთლისა**

ფასი სამი შაური

## ახალი ამბავი

*** ტფილისის მიხეილის სამკურნალოში 1 ივლისს დილით 18 ხოლერით ავადმყოფი იყო 16 კაცი და 2 ქალი. ამ დღეს სამკურნალოში არავინ მიუყვანიათ. ამავე დღეს კარგად გახდა და საავადმყოფოდგან გამოვიდა მათე კერესელიძე; გარდაიცვალა 4 კაცი (ფეფელოვი, კლჟაევი, ფილიშვილი და ვალი-ოღლი). 1 ივლისს საღამოთი სამკურნალოში იყო 11 კაცი და 2 ქალი. 1 ივლისს ღამე სამკურნალოში მიიყვანეს 4 კაცი: გულიაევი—6 ნაწილი, ვარანცოვის ქუჩა, ადელხანოვის ქარხანა; მაიერი—10 ნაწილი, ცხენის რკინის გზის სადგური და ბერძენოვი—1 ნაწილი, ლაბორატორიის უბანი, აბულაძეს სახლი, № 25. 2 ივლისს დილით სამკურნალოში იყო 15 კაცი და 2 ქალი.

ამას გარდა 2 ივლისს ხოლერით ავად გახდა და სამკურნალოში გაჰგზავნეს ემილიან ვეტცელი—9 ნაწილი, წყლის პირის ქუჩა, ტერ-სტეფანოვის სახლი; ტომაში, ჩერნომორსკის პოლკის ჯარის კაცი—2 ნაწილი, მამადავითის ქუჩა, ლილოვის სახლი, № 17 და 34; მაქსიმოვი, კადეტის კორპუსის შვეიცარი—1 ნაწილი, არტილერიის ბალკა, კაზლოვის სახლი № 28, სტიაშკინი—8 ნაწილი, რიყე, ბარდინოვის სახლი. მორჩა და გამოვიდა სამკურნალოდგან 1 ქალი. გარდაიცვალა 2 კაცი. ავად არის 17 კაცი და 1 ქალი. 3 ივლისს მე-7 ნაწილში ავად გახდა ხოლერით მუშა თამამშოვის წისქვილისა, სიმონ სკარიკაშვილი.

1 ივლისს საღამოთი ავად გახდა ნავთლუღში თავ. არღუთინსკი-დოლგორუკი. ავადმყოფს სახლში სწამლობენ.

1 ივლისსვე გომბორში ავად გახდა აქაური მცხოვრები იოსებ ლუპინსკი.

*** განჯის გუბერნატორი იუწყება: 30 ივნისს ქ. შუშაში ავად გახდა ხოლერით 9, გარდაიცვალა 6, მორჩა 3, ავად არის 28. შუშას მაზრაში ავად გახდა 14, გარდაიცვალა 9, მორჩა 3, ავად არის 5. ჯევანშირის მაზრაში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 1, მორჩა 10, ავად არის 12. განჯაში ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1. განჯის მაზრაშიაც ავად არის 1. ზანგეზურის მაზრაში ავად არის 30. ქალაქ ნუხაში ავად გახდა 3, გარდაიცვალა 1, ავად არის 2. ჯებრაილის მაზრაში გარდაიცვალა 3 სპარსელი, სამშობლოში მიმავალი. მთელს გუბერნიაში ავად არის 79.

*** ბაქოს გუბერნატორი იუწყება: 30 ივნისს სამკურნალოში მიიყვანეს 21 ხოლერით ავადმყოფი. იმავე დღეს გარდაიცვალა 18, მორჩა 5, სამკურნალოში არის 150. სამკურნალოს გარეშე გარდაიცვალა 30. ბაქოს მიდამოებში ავად გახდა 8, გარდაიცვალა 9, მორჩა 2. სალიანის ბატალიონის სამკურნალოში მიიყვანეს 1 ავადმყოფი, მორჩა 1, ავად არის 26. მთელს გუბერნიაში ავად გახდა 16, გარდაიცვალა 11.

*** დაღესტნის გუბერნატორი იუწყება: 30 ივნისს კიურინის ოლქში ავად გახდა 3. პეტროვსკაში მორჩა 7. ავად არის: პეტროვსკში 2, კიურინის ოლქში—8, სამურისაში—17, დარგინისაში—21 და კაიტაგო-ტაბასარანისაში—10.

*** 2 ივლისს, საღამოზედ, საბჭოს დარბაზში მოხდა შეერთებული კრება გამგეობისა და თერთმეტ სასანიტარო რაზმისა. თავმჯდომარეობდა ქალაქის მოურავი, თავადი არღუთინსკი - დოლგორუკი. კრებას მსჯელობა ჰქონდა სხვა-და-სხვა ღონისძიების გამო ხოლერასთან ბრძოლის შესახებ. ქალაქის მოურავმა სხვათა შორის სთხოვა კრებას, წარმოსთქვას თავისი აზრი იმის გამო, თუ როგორ უნდა მიაღწიოს ქალაქმა იმ მდგომარეობამდე, რომ ყოველი ნაგავი ერთიან გატანილ იქმნას ქალაქ გარედ. თავმჯდომარემ მეთერთმეტე სასანიტარო რაზმისამ ბ-ნმა ნ. ი. ნიკოლაძემ სარჩელი შეიტანა იმის შესახებ, რომ ქალაქმა სახლის პატრონებს დაავალოს ეზოებისა და თავ-თავიანთ ქუჩების გაწმენდა, ხოლო თითონ ქალაქმა თავისის ხარჯით დაუყოვნებლივ ზიდოს ეს ნაგავი ყოველ დღე და გაიტანოს ქალაქ გარედაო. ეხლა ქალაქს ფული ეხარჯება ცვისათვის ცალკე და გაზიდვისათვის ცალკე. მაშინ-კი, როდესაც დავეს აკისრებინებს სახლის პატრონებს, თავისს ფულს მოახმარებს მარტო ზიდვას და კიდეც შესძლებსო. დღეში უკანასკნელი 2,00) «პოვოსკა» ნაგავი უნდა იქმნას გატანილი, რომ ქალაქში სისუფთავე ჩამოვარდესო. თავმჯდომარემ მეოთხე სასანიტარო რაზმისამ ბ-ნმა ა. ი. იოანისიანმა-კი ურჩია კრებას, რომ რადგან ძნელი გასაგებია ქუჩების დაგვა ეხლა აიცილოს ქალაქმა თავიდგან, ისევ ემჯობინება ქალაქმა კვლავ ჰგავოს ქუჩები, ხოლო ნაგავის გაზიდვაში დაიხმაროს სახლის პატრონები, რომელნიც ეხლაც ეზიდებიან ეზოს ნაგავს და ძალიან ძვირადაც უჯდებათო. ქალაქმა რომ იკისროს „პოვოსკების“ გამართვა, სახლის პატრონებს უფრო ნაკლები ხარჯი მოუნდებათ და ეს ხარჯი საკმარისი იქნება, რომ ქალაქის «პოვოსკებმა» დღეში ერთხელ ჩამოუარონ ყოველ სახლს და შეგროვი-

## ფელეტონი

### ხანგრძლივი სიცოცხლე

სიბერე.—ინდოელთა თქმულება.—დღეგრძელობის მაგალითები.—მიზეზები ხანგრძლივის სიცოცხლისა.—ჰავა, მდებარეობა, ჩამომავლობა, სქესი, წოდება და ხელობა.—ზომიერი ცხოვრება.—სიბერის ბაცილი.—სიცოცხლე ტკბილია.—მატყუარა მკურნალნი.—პროფესორის თარხნიშვილის აზრი ბროუნ-სეკარის ელექსირის შესახებ.

ადამიანი იბადება, სცხოვრობს და კვდება. ეს სამი სიტყვა მთელი ისტორიაა ადამიანის სიცოცხლისა. ხანგრძლივი სიცოცხლე ყველასა სურს; სიბერე—არავის. სიბერის დროს ყველა სჩივის: „დავბერდი, დავუძლურდი, დავჩაჩანაკდიო“. სიბერე ნელა ეპარება ადამიანს, აუძლურებს და ბოლოს წუთი-სოფელსაც ასალმებს.

ჰომიროსმა სთქვა: „ადამიანის შთამომავლობა—ხის ფოთოლია, ერთი რომ ესხმის, სხვა სცვივაო“.

საყურადღებოა ზოგიერთი მკურნალის მაქს ლანდაუს მიერ შეკრებილი ცნობანი ადამიანის დღეგრძელობის შესახებ.

ძველ დროთა მითების თქმით, უწინდელს დროში ადამიანი რამდენსამე მილიონს წელსა სცოცხლობდა. ინდოელების რწმუნებით, ბრაჰმამ 2000 მილიონ წელზედ მეტი იცოცხლა ზეცას, შემდეგ ადამიანის სხეული შეისხა და კაცთა შორის კიდევ 300 კვადრალიონის კალპის განმავლობაში იცოცხლა დედამიწაზედ (კალპი 16.800,000 წელიწადია).

ხალხის თქმულებათა და მითებს რომ თავი დავანებოთ და ნამდვილს ცნობებს მივმართოთ, აღმოჩნდება, რომ ზოგიერთს ადამიანს 150 წელზედ მეტი უცოცხლია და ზოგს—200 წლამდეც.

მაგალითად, ინგლისში ერთმა კაცმა, თომა პარრემ, 152 წელი იცოცხლა. პარრეს ხანგრძლივ სიცოცხლის დროს 9 მეფე გამოიცვალა. როცა ეს დღეგრძელი კაცი 120 წლისა შეიქმნა, მეორე ცოლი ითხოვა და, 152 წლისა რომ შესრულდა, ინგლისის მეფემ კარლოს II-მ ლონდონში დაიბარა სანახავად და ჩინებულს სადილზედ მიიწვია სასახლეში. მეორე დღეს თომა პარრე გარდაიცვალა. სასახლის მკურნალმა გარვეიმ მიცვალებულის გვამი გასჭრა და აღმოჩნდა, რომ პარრე სრულიად ჯან-საღი ყოფილიყო და მხოლოდ იმან გამოასალმა წუთი-სოფელს, რომ იმის კუჭს შეუჩვეველი საჭმელი ვერ მოენელებინა.

უფრო მეტი ხანი იცოცხლა ერთმა შოტლანდიელმა, კენტინგერმა, რომელიც ერთს ეკკლესიაშია დასაფლავებული. საფლავის ქვაზედ წარწერა ამტკიცებს, რომ კენტინგერს 185 წელი უცოცხლია.

**

ასის წლის მოხუცი ეხლაც ბევრია ყოველს ქვეყანაში. ევროპის მცხოვრებთა უკანასკნელ აღწერიდგანა სჩანს, რომ ყველაზედ მომეტებული მოხუცი ნორვეგიაშია და, მაშასადამე, დღეგრძელობის მხრივ ამ სახელმწიფოს პირველი ადგილი უჭირავს ევროპის სახელმწიფოთა შორის. ნორვეგიას მოსდევს საბერძნეთი, შემდეგ ინგლისი, დანია, იტალია, ბელგია, საფრანგეთი და სხვა. საყურადღებოა, რომ, როგორც ამ ცნობებიდგანა სჩანს, სიპობსა და სიცივეს არავითარი გავლენა არა ჰქონია ადამიანის დღეგრძელობაზედ. ნორვეგიაში ადამიანი მეტსა სცოცხლობს, ვიდრე საბერძნეთში, და იტალიაშიკი უფრო მეტი მოხუცია, ვიდრე საფრანგეთში. თუ ამ სახელმწიფოთა მდებარეობასა და ბუნებას მივაქცევთ ყურადღებას, ცხადად დავინახავთ, რომ კუნძულებსა და ნახევარ-კუნძულებზედ მდებარე სახელმწიფოებში ადამიანი უფრო მომეტებულსა სცოცხლობს, მეტადრე თუ იმ სახელმწიფოში მთიანი ადგილებია. ცხადია, ზღვის ჰავა და მთა ადგილი ხელს უმართავს ადამიანის დღეგრძელობას და ხანგრძლივს სიცოცხლეს.

პროფესორის ბიუჰნერის გამოანგარიშებით, დედაკაცები უფრო მეტსა სცოცხლობენ მამაკაცებზედ. გერმანიის მცხოვრებთა უკანასკნელი აღწერა გვიჩვენებს, რომ იქ 2055 კაცი აღმოჩენილა, რომელთაც 90 წელზედ მეტი უცოცხლიათ, ხოლო ამ ხნის დედაკაცთა რიცხვი 3330 ყოფილა, ე. ი. 100 მოხუცებულს კაცზედ 155 მოხუცი დედაკაცი. ამ გარემოებას ერთი ფრანგი იმითი ასაბუთებს, რომ მშვენიერის სქესის ბაგენი მუდამ განპობილია და ბევრი ლაპარაკი და გალობა ადამიანს ფილტვებს უმაგრებსო. ხოლო ბიუჰნერის აზრით-კი, რომელიც უფრო საბუთიანია, დედაკაცი იმიტომა სცოცხლობს კაცზედ მეტს ხანს, რომ ცხოვრების ჰიდილში მამაკაცს მომეტებული ჯაფა, შრომა და განსაცდელი აწევს, ვიდრე დედაკაცს. ამას გარდა, უცოლო კაცი უფრო იშვიათად მიაღწევს სიბერეს. ვისაც ხანგრძლივი სიცოცხლე სურს, უეჭველად ცოლი უნდა შეირთოს და, რაც უფრო ადრე შეირთავს ცოლს, იმდენად უმჯობესია. ვინც 30 წლისა შეირთავს ცოლს, ის 11 წლით მომეტებულს იცოცხლებს, ვიდრე უცოლო კაცი, და თუ 40 წლისამ შეირთო ცოლი, მხოლოდ 6 წლით მომეტებულის სიცოცხლის იმედი უნდა იქონიოს.

**

ხანგრძლივი სიცოცხლე დამოკიდებულია აგრეთვე შთამომავლობაზედაც. განსვენებულის იმპერატორის ვილჰელმის მამა-პაპანი ყველანი დღეგრძელნი იყვნენ.

ვინც სუფთა ჰაერზედ სცხოვრობს,

ლი ნაგავი გაზიდონო. კრებამ დაადგინა: ქალაქის გამგეობამ გამართოს რამდენიმე „პოვოსკა“ და ჯერ საცდელად დაიწყოს ზიდვა ნაგვისა ამალლების ქუჩიდგან. უკეთუ სახლის პატრონები ამ ქუჩისა შეუწყობენ ხელს ქალაქის გამგეობას, მაშინ ამ მოკლე ხანში გაჰმართავენ იმდენს „პოვოსკას“, რომ მთელს ქალაქს ეყოს.

შემდეგ კრებამ სთხოვა გამგეობას, რომ იკისროს და იაფ ფასადა ჰყიდოს ქალაქის ყოველ ნაწილში წყალდაუსხმელი კირი, რომელიც საუკეთესო მასალაა ფეხის-ადგილების უვნებელ-ყოფისათვის. გამგეობამ განაცხადა სრული თანხმობა.

** ქალაქის მოურავის განკარგულებით, ყოველს სახლს ტფილისში მიაკრავენ იმ ექიმების ადრესებს, რომელნიც მოვალენი არიან უფასოდ არჩინონ ხოლერით ავადმყოფები და შემწეობა აღმოუჩინონ პირველშივე.

** ჩვენ მოგვივიდა ახალი ქართული წიგნი «ძირითადი უკუღმართობა», იაკობ გოგებაშვილისა. ეს წერილი ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი ამ ორის წლის წინად და შეეხება ფრიად საყურადღებო საგანს, ე. ი. დედაენის მნიშვნელობას სწავლა-განათლების საქმეში. წიგნი დაბეჭდილია ქართველთა ამხანაგობის სტამბაში და ღირს ერთი აბაზი.

** გაზეთი „Кавказъ“-ი იუწყება: ამ დღეებში ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსმა ბ-ნმა ფრიდემ შემდეგი ბრძანება გასცა: გზათა მინისტრის მიერ გამოგზავნილის რკინის გზათა ინსპექტორის ვ. ვ. გრაჩევის მიერ წინადედების თანახმად ვაცხადებ, რომ რკინის გზის მმართველობა ყოველ გვარ დახმარებას უჩენს თავის მოსამსახურეთა და მოხელეთ. აძლევს სუფთა სადგურს, უგზავნის უფასოდ წამლებს, უმატებს ჯამაგირს და სხ. რკინის გზის მოხელენი თავის მხრით მოვალენი არიან გულ-მოდგინედა და სინიდისიერად აასრულონ თავიანთი მოვალეობა. ამასთან ვაცხადებ კიდევ, რომ მათი შრომა ხოლერის დროს და სინიდისიერი სამსახური, ჯამაგირს გარდა, ღირსეულად იქნება დაჯილდოებული. ის მოხელენი-კი, რომლებიც ამ განსაცდელის დროს სამსახურს თავს დაანებებენ, სამართალში იქნებიან მიცემულნი.

ქალაქის თავმა აცნობა ტფილისის პოლიცმეისტერს, ხოლერიან ავადმყოფთათვის სამკურნალოს დაარსებამდე ამ სამკურნალოს ორდინატორი მკურნალი ი. ხ. ადამიანცი, რომელიც გოლოვინის პროსპექტზედ სცხოვრობს, საკუთარს სახლში, უსასყიდლოდ უწამლებს ხოლერიან ღარიბ ავადმყოფებსაო.

ქალაქის მოურავმა მიჰმართა მიხეილის სამკურნალოს უფროსს მკურნალს და სთხოვა ყოველ დღე ცნობანი გამოგვიგზავნეთ, ვინ გახდა ავად, ან რომელს სახლში, რომ შევიძლოთ იმათ სადგურებში დეზინფექცია მოვახდინოთო.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობა უცხადებს მგზავრებს: ტფილისის სადგურზედ მკურნალები ყველა მგზავრს გასინჯავენ, ვინც ტფილისში ჩამოვა, ან ტფილისიდგან სხვაგან გაემგზავრებაო.

ფეთხაინის ეკკლესიასთან და ვერის მოედანზედ უფასო საჩაიოები იქნება გამართული.

** გაზეთი „Нов. Обоз“ იუწყება: ნამდვილ წყაროდგან შევიტყეთ, რომ ბორჯომის რკინის შტო ჯერჯერობით გაყვანილი არ იქნება, რადგანაც ეს საქმე ბორჯომის მამულის გამგეობამ არ იკისრა.

ფოთიდგან გვწერენ: 29 ივნისიდგან რუსეთის ნავოსნობისა და ვაჭრობის საზოგადოების გემებს მგზავრები აღარ მიჰყავთ. ფოთში მოსულს მგზავრებს მკურნალნი სინჯავენ.

ქუთაისის ქალაქის მოურავის თხოვნა იმის შესახებ, რომ რიონის სადგურზედ კარანტინი გაიმართოსო, შეწყნარებული არ იქმნა, რადგანაც რიონთან რომ კარანტინი გაიმართოს, ქუთაისს ვერაფერს ვერ უშველის. მგზავრებს ადვილად შეეძლებათ ქუთაისში მისვლა სადგურებს: ყვირილასა, სვირისა, აჯამეთისა, მუხიანისა, კოპიტნარისა და სამტრედიიდგან. ეს სადგურები ქუთაისზედ ძლიერ ახლოა და ხალხი ადვილად ასცდება კარანტინსა და ქუთაისში მივა.

მოგვყავს სახელი, გვარი და ადრესები სასანიტარო მკურნალთა, რომელნიც მოვალენი არიან უსასყიდლოდ უწამლონ ხოლერიან ავადმყოფთ:

ქალაქის სასანიტარო მკურნალი ვ. ნ. სტეფანოვი—ფრეილინის ქუჩა, თავად არღუთინსკი-დოლგორუკის სახლი; ხოლერიან ავადმყოფთათვის სამკურნალოს უფროსი მკურნალი ს. ს. ისტამანოვი—გრიბოედოვის ქუჩა, ზუბალოვის სახლი; მკურნალი დეზინფექტორი ი. ლ. რაზმატი—მიხეილის ქუჩა, სახლი № 19; ხოლერიან ავადმყოფთათვის სამკურნალოს ორდინატორნი: ი. ლ. ადამიანცი—გოლოვინის პროსპექტი, საკუთარი სახლი, № 28; გ. გ. გულიანცი—ფრანგების ქუჩა, საკუთარი სახლი № 7; კ. გონიევი—ბაღის ქუჩა, სახლი № 19; სასანიტარო დასების მკურნალნი: 1 ნაწილისა ნ. გ. ყასუმოვი, მიხეილის ქუჩა № 118; 2 ნაწ. ა. ცენტნერი—ფრეილინის ქუჩა, № 3; 3 ნაწ. ვ. მ. არწრუნი—გოლოვინისპროსპექტი, მირზოევის სახლი, 5; 4 ნაწ. ა. სარქისოვი—ფრანგების ქუჩა, მირზოიანცის სახლი, № 8; 5 ნაწ. გ. გედალინი—ოქრომჭედლების ქუჩა, ყაზაროვის სახლი, № 42; 6 ნაწ. ი. ბ. ტერ-ასატუროვი—სასახლის ქუჩა, სასტუმრო „საქსონია“; 7 ნაწ. ი. ა. თარხანოვი—ელისაბედის ქუჩა, № 70; 8 ნაწ. ვ. ტ. პრეობრაჟენსკი—მიხეილის ქუჩა, პაპოვის სახლი, № $^{9}/_{2}$; 9 ნაწ. მ. ა. რეხტზამერი — ელისაბედის ქუჩა, ალლოვის სახლი, № 86; 10 ნაწ. რ. ს. ფონ-ირტელი, აფთიაქის ქუჩა, საკუთარი სახლი, № 1 და 11 ნაწ. (ქალაქის მიდამოებისთვის) ა. მ. როტინიანცი—გოლოვინის პროსპექტი, № 41. სამოქალაქო მკურნალნი: ს. ო. მრევლოვი—კუკია, ალექსეევის ვიწრო ქუჩა; ლ. გ. რუდკოვსკი—გრაფის ქუჩა, დედათა გიმნაზიის მახლობლად, ტერ-ნიკოლოსოვის სახლი; დ. გ. მაღალაშვილი—ოლგას ქუჩა, საკუთარი სახლი, № 15; ნ. ბ. ვერმიშევი—მიხეილის ქუჩა, საკუთარი სახლი.

ამ მკურნალების რეცეპტებით აფთიაქების პატრონები მოვალენი არიან უფასოდ მისცენ წამლები ღარიბ ავადმყოფებს.

** გაზეთი „Т. Л.“ იუწყება: ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობამ რამდენიმე მკურნალი მოიწვია რუსეთიდგან. ხარკოვიდგან უკვე ჩამოვიდა ტფილისს 3 მკურნალი.

** 2 ივლისს ჯარის-კაცის ცოლმა კონსტანციამ პოლიციაში გამოაცხადა, რომ ჩემმა ქმარმა ფრანც ბელსკიმ სიმთვრალეში შეცდომით ღვინის მაგიერ კარბოლკა დალიაო. ბელსკი სამკურნალოში წაიყვანეს და იქვე გარდაიცვალა.

## მთავრობის განკარგულებანი

ერევნის ოლქის სასამართლოს გიმრინის განყოფილების გამომძიებელი ზურაბოვი დაინიშნა ქ. ნუხას განყოფილების მომრიგებელ-მოსამართლეს თანაშემწედ.

ქუთაისის პროგიმნაზიის მასწავლებელს ნადვორნი სოვეტნიკს ნიკოლოზ მაჭავარიანს ებოძა კოლეჟსკი სოვეტნიკობა.

ამიერ-კავკასიის სასოსტატო სემინარიის მასწავლებელს ნადვორნი სოვეტნიკს ნიკოლოზ ლომაურს ებოძა კოლეჟსკი სოვეტნიკობა.

მასწავლებლებს, კოლეჟსკი ასესორებს: ივანე ინაშვილს, იოსებ ლალაზიძეს, იაკობ ძონენიძეს და კონდრატი ინასარიძეს ნადვორნი სოვეტნიკობა ებოძათ.

ბათუმის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელს კოლეჟსკი სეკრეტარს თეოფანე ჯაყელს ებოძა ტიტულიარნი სოვეტნიკობა.

სოხუმის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებელს კოლეჟსკი რეგისტრატორს ანთიმოზ ჯუღელს გუბერნსკი სეკრეტარობა ებოძა.

დამტკიცებულ იქმნა თანამდებობაზედ თელავის სამოქალაქო სასწავლებლის მასწავლებლის თანაშემწე კოლეჟსკი რეგისტრატორი დიმიტრი ცისკარაშვილი.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

**ლანჩხუთი**, 29 ივნისს. ხოლერის სტუმრობის მოლოდინმა ჩვენი ლანჩხუთიც დააფაცურა და ყურები გააბღერტინა. 27-ს ამ თთვეს აქ მოვიდა ს. ნაგომრიდგან მკურნალი ბ-ნი ერისთავი, რომელმაც ადგილობრივ ექიმის, ფერშლების, ბოქაულის და სხვა პოლიციის მოხელეთა თანადასწრებით დაათვალიერა ლანჩხუთის დუქნები და ბაზრის არე-მარე. სისუფთავის მხრივ ჩვენმა ვაჭრებმა, მართალი მოგახსენოთ, თავი ვერ მოიწონეს. ეს მით უფრო სამარცხვინოა მათთვის, რომ წინადვე ბ-ნ ბოქაულის მიერ გაფრთხილებულნი იყვნენ, სისუფთავე დაიცევითო, გასწმინდეთ და გაასუფთავეთ თქვენი დუქნების გარემონიო. მაგრამ, როგორც ამ დათვალიერების დროს აღმოჩნდა, დარიგება მარტო დარიგებად დარჩა: ჩვენმა ვაჭრებმა თავიანთი უსუფთაო ალაგები არ გასწმინდეს და არ გაასუფთავეს. ლანჩხუთი უამისოდაც ხოლერის საწინააღმდეგოდ ვერაფრად არის გამაგრებული, რადგანაც ეს სოფელი ძალიან დაბალი და ჭაობიანია, რის გამოც ციებ-ცხელება აქ ჩვეულებრივი ავადმყოფობაა. ამას გარდა აქ ძალიან ბევრი მცხოვრებია და ისეც უხეირო, ნესტიანი და მიაზმიანი ჰაერი უფრო ფუჭდება. ეს, რა თქმა უნდა, ჩვენმა ვაჭრებმა აინუნში არ ჩაიგდეს და თავიანთ ალაბს უფრო ჩასჭიდეს ხელი. წარმოიდგინეთ, დამპალ „ტარანს“ და „ფარგასაც“ კი ჰყიდდნენ ზოგიერთები ასეთის გაფრთხილების შემდეგ ბ-ნ ერისთავის მოსვლამდის, მაგრამ ამ დღეს კი, როცა დაინახეს, რომ ასეთს თავ-გასულობას არავინ შეგვარჩენსო, მოგეცათ სიცოცხლე, ასეთი დამპალდუმპალი თევზი ზოგი მიჰმალეს და ზოგიც გადაჰყარეს. ექიმი ერისთავი

---

მოჰეტებულს იცოცხლებს იმაზედ, რომელიც თავის ხელობას გამო მუდამ ოთახში ატარებს დროს. ამიტომაც სოფლებში ადამიანი მეტსა სცოცხლობს, ვიდრე ქალაქებში.

ადამიანის დღეგრძელობა დამოკიდებულია კიდევ წოდებასა და ხელობაზედ: სამღვდელოება, ფულის პატრონნი და წარჩინებულნი ორთა შუა რიცხვით 65 წელს სცოცხლობენ, ვაჭრები—62 წელსა, სოფლის მცხოვრებნი—61, ჯარის-კაცნი—59, მოხელენი—58, მხატვარ-მოქანდაკენი და მწერალნი—57, მასწავლებელნი—56; ამათზედ ნაკლებ სცოცხლობენ მკურნალნი, ყველაზედ ნაკლებს-კი—ხელოსანნი. ამათი სიცოცხლე ორთა შუა რიცხვით არ აღემატება 44 წელს. სამხედრო წოდების კაცნი, თუ ომში არ დაიხოცნენ, ხშირად მიაღწევენ ხოლმე სიბერეს.

წესიერსა და რიგიანს ცხოვრებას არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ჩამომავლობას. ვინც წესიერად სცხოვრობს, იმედი უნდა იქონიოს, რომ თითონაც მეტს იცოცხლებს და იმის ჩამომავლობაცა.

**

ძნელია სიბერე. ამიტომაც ადამიანი ხშირად იმის ფიქრსა და ცდაშია, რა კარგი იქნება, არ დავბერდე და არ დავუძლურდეო. დიდი ხანი არ არის, რაც ერთმა ნეაპოლელმა პროფესორმა გამოაცხადა, ადამიანის სიბერისა და დაუძლურების მიზეზი ერთ გვარი ბაცილა არისო. დიაღ, დაიჭირეთ ეს ბაცილა, შეისწავლეთ იმისი ზნე-ჩვეულება, გაიგეთ ამ მტერს ადამიანისას რა უყვარს და რა სძულს, რა არგებს და რა ავნებს, მოიგონეთ იმის გასაწყვეტი და გასანადგურებელი წამალი და... ნეტარება შენ, ადამიანო! არც დაბერდები არასოდეს, არც კბილები დაგცვივა, არც თმა გაგითეთრდება და იცხოვრებ შენთვის, როგორცა სცხოვრობდნენ ჰომეროსის გმირნი, ან ბერძნების ღმერთები იმ ნეტარ-ხსენებულს დროს, როცა ბაცილების ხსენებაც-კი არსად იყო. მაშინ მთელის დედამიწის ზურგი მაჰმადის სამოთხედ გადიქცევა.

ტკბილია სიცოცხლე. პირვანდელ დროიდგან მოყოლებული ჩვენ დრომდე ადამიანი სცდილობს, სიბერის წინააღმდეგი და ხანგრძლივ სიცოცხლის წამალი მოვიგონოთ, მაგრამ ამაოდ.

საშუალო საუკუნოებში ბევრი ისეთი კაცი გამოჩნდა, რომელიც ხალხის უმეცრებითა და გაუნათლებლობით სარგებლობდა და ხალხს ატყუებდა. სწორედ ამ დროს გამოჩნდა ერთი მატყუარა, პარაცელზი, რომელსაც მატყუარობაში მთელს დედამიწის ზურგზედ ჯერ ბადალი არა ჰყოლია. პარაცელზმა ისე გაითქვა სახელი, რომ ევროპის ყველა მხრიდგან მეფეები მიდიოდნენ მასთან, გვიწამლეო. პარაცელზმა გამოაცხადა, ისეთი წამალი მოვიგონე, რომელიც ყველა ავადმყოფობასა ჰკურნავს და ადამიანს არ აბერებსო. ვინც იმ წამალს დალევდა, ვითომ 1,000 ან 800 წელიწადს იცოცხლებდა. ეს შესანიშნავი წამალი, რომელსაც პარაცელზმა „ვეგეტაბილის“ გოგირდი უწოდა, ბოლოს დროს რაღაც გოფმანის კაპლების მინაგვარი წამალი გამოდგა. ყველას სწამლობდა პარაცელზი, ყველასა ჰპირდებოდა, თუ ჩემი წამალი დალიე, არც დაბერდები და არც ავად გახდებიო, მაგრამ თავის თავსაც-კი ვერა უშველა-რა და 50 წლისა გარდაიცვალა.

**

ძლიერ გავრცელებული იყო ის აზრი, რომ ყველა ავადმყოფობის მიზეზი ძველი, გაფუჭებული სისხლი არისო. ეხლაც შეხვდებით ამისთანა კაცს, რომელიც დარწმუნებულია, რომ საჭიროა მხოლოდ კაცმა ყოველ წლივ სისხლი გამოიშვას და ავად არ გახდებაო. ზოგი კიდევ იმას ფიქრობდა, სალი კაცის სისხლი რომ მოხუცსა და ავადმყოფს ჩავუყენოთ ძარღვებში, მოხუცი ყველა ავადმყოფობისაგან განიკურნება და ხელ-მეორედ გაახალგაზდდებაო. ერთმა მკურნალმა თავისის სამის ვაჟის სისხლი ჩაუყენა პაპს ინოკენტი VIII-ს, მაგრამ ამაოდ: შვილები დაეხოცა და პაპის სიცოცხლეს-კი არც ერთი საათი არ მოემატა.

ამ უკანასკნელ საუკუნეში ათასობით გამოტყვრა სხვა-და-სხვა უმეცარი და მატყუარა კაცი. სენჟერმენმა მოიგონა „დღეგრძელობის ჩაი“, კალიოსტრომ—რაღაც „ელექსირი“, მკურნალმა გახმა—„ზეცის საწოლი“. ყველა ესენი მხოლოდ ხალხს ატყუებდნენ და სძარცვავდნენ. ეს წამლები, თუ არ ავნებდა ადამიანს, არას არგებდა.

საბრალო კაცობრიობაო! იტყვის ყველა ის, ვინც თვალს გაადევნებს მის ისტორიას და დაინახავს, თუ რას არ იჯერებდა ადამიანი, ოღონდ არ დავბერდე და რამდენისამე წუთის სიცოცხლე გამოვგლიჯო ბასრ კლანჭებიდგან შეუბრალებელსა და ულმობელს სიკვდილსაო!

**

ორი სიტყვაც. ამ ბოლოს დროს ხმა გავარდა, პროფესორმა ბროუნსეკარმა ისეთი წამალი მოიგონა, რომ მოხუცებულს გააყმაწვილებსო. ეს წამალი ზღვის გოჭებისაგან გაკეთებული ელექსირია. ამ ელექსირის შესახებ პროფესორი თარხნიშვილი სწერს: „რა გავლენა ექნება გოჭებისა, კურდღლებისა და სხვა მხეცებისაგან გაკეთებულს ელექსირს ადამიანის შთამომავლობაზედ? მე ვშიშობ, რომ ბროუნ-სეკარის ელექსირის ხმარებით ადამიანს ღორებისა, ცხვრებისა და სხვა მხეცების ზნე-ჩვეულება არ გადაედოსო.“

ეხლა ვიკითხოთ: სასარგებლო კი იქნება კაცობრიობისათვის, მართლა ისეთი წამალი მოიგონონ, რომ ადამიანს მათუსაილის დღენი ჰქონდეს!! ჯერ ეხლაც, „როცა წუთი-სოფლის სტუმარნი ვართ“, როცა კარგად ვიცით, რომ «ჩვენ წავალთ და სხვა მოვაო», ეხლაც ვერა ვრიგდებით და ერთმანეთსა ვჩაგრავთ, ვჭამთ და მაშინ რაღა იქნება?!

აბრა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლანჩხუთის უსუფთაობით ძალიან უკმაყოფილო დარჩა. ზოგი დააჯარიმა და ზოგსაც ძლიერ გააწმენდინა თავისი უსუფთაო კარ-მიდამოები. საწყენი ის არის, რომ დააჯარიმეს სამართლიანად ისეთნი, რომელთაც თავიანთ «ქონების ანგარიშიც-კი არ იციან», და ასეთ შეძლებულთ ხომ ადვილად შეეძლოთ სიმყრალე თავიდგან აეშორებინათ. ამ დათვალიერების დროს ექიმმა ერისთავმა დარიგება მისცა ვაჭრებს იმისა, თუ როგორ უნდა მოუარონ საჭმელ-სასმელს, როგორ სუფთად უნდა ინახავდნენ ხორაგეულობას; შემდეგ დაავალა ადგილობრივს ექიმს, რომ ამას შემდეგ ყურადღება მიაქციოს ლანჩხუთში სისუფთავეს. თუ ხოლერა ჩვენკენაც მოახლოვდა, მაშინ სოფლებსაც დავივლი და გავსინჯავ სისუფთავის მხრივაო.

მეორე დღეს, 28 ივნისს, სოფლის კანცელარიასთან საზოგადოების კრება იყო. კრებაზედ ბ-ნმა ბოქაულმა აუხსნა ხალხს, რომ მოახლოვებულია ხოლერა და ადვილად შეიძლება ჩვენშიაც გავრცელდეს, მით უფრო, რომ ჩვენში რკინის გზა გადის და ეს გარემოება სენის გავრცელებას ხელს უწყობსო. მთავრობისაგან ბრძანება მივიღე, სთქვა მან, რომ ორის დღის განმავლობაში ერთი სახლი მზად მქონდეს ავადმყოფთათვის, თუ ვინიცობაა აქაც გაჩნდა ხოლერაო. ამიტომ მე მოგიწოდეთ თქვენ, რომ დაგეკითხოთ, როგორ გირჩევნიათ: სახლი დაიქირაოთ, თუ სულ ახალი ააშენოთ ამისთვისაო. მე კი ჩემის მხრით ვირჩევ, რომ სახლი აშენდეს, რადგან, თუ სახლი ვიქირავეთ, უთუოდ სოფელში უნდა ვიქიროთ, და ეს კარგი არ არის, რადგან აქედგან ადვილად შეიძლება მოარული სოფლებში გავრცელდესო. ისევე სჯობს, რომ სახლი ამისთვის ეხლა აშენდეს და სოფელზედ უფრო მოშორებით დაიდგასო. შემდეგ ადგილობრივმა ექიმმა აუხსნა ხალხს, ბ-ს მ. ბ—ძის ქართულის შემწეობით, თუ რა ავადმყოფობაა ხოლერა და რა მნიშვნელობა აქვს მასთან საბრძოლველად სისუფთავეს და გაფრთხილებას. ამ აზრის გასამართლებლად მან მოიყვანა შედარება ტფილისისა ბაქოსთან. ბაქოშიო, სთქვა მან, უსუფთაობის მიზეზით ხოლერამ ბევრი იმსხვერპლა და ტფილისში-კი, რომელიც ბაქოზედ ბევრად დიდია, ჯერ ორიოდე მოკვდა ამ სენითაო. ბოლოს ურჩია ხალხს, რომ მხნედ და უშიშრად იყავითო, რადგან შიში ზიანის მეტს სარგებლობას არას მოიტანს და ყოველი დარიგება შეძლების დაგვარად აასრულეთო; აგრეთვე სახლი მოსალოდნელ ავადმყოფთათვის საჭიროა მალე გაკეთდესო. ამას შემდეგ ხალხში ბევრი ყაყანი და ლაპარაკი ასტყდა. ამ ლაპარაკიდგან უფრო ის გამოდიოდა, რომ ხალხი ვერა კისრულობდა სახლის აშენებას, რადგან საავადმყოფო რომ ავაგოთო, ამბობდნენ ბევრნი, რკინის გზით მოგზაური ხალხი რომ ავად გახდება, აქ დაგვიტოვებენ მოსარჩენად და ამით ჩვენ უფრო წავიბილწებით სენითაო. ბოლოს ამოირჩიეს სამი კაცი და მიანდეს ამ საქმეში მეთაურობა. სახლის აგებას ყიდვა არჩიეს, მაგრამ გარდაწყვეტით თითქმის მაინც ვერ გარდასწყვიტეს. როცა სხვაგან დავინახავთ ასეთ საავადმყოფოებს, მაშინ ჩვენც გავმართავთო, ამბობდნენ.

საღამოს ყრილობა დაიშალა, თუმცა ამ დღეს საზოგადოებას ერთი საყურადღებო საგანი ჰქონდა განსახილველი, რომლის შესახებაც იმ დღეს, დროს უქონლობის გამო, ვერ მოილაპარაკეს. ეს საგანი სკოლას შეეხება. როგორც მოგეხსენებათ, ლანჩხუთში ორ-კლასიანი სკოლაა გამართული, რომელშიაც ორი მასწავლებელია და სახლიც ქვისაა, საკმაოდ დიდი, ორ-სართულიანი. მაგრამ მაინც ხალხის სურვილს სკოლა ვერ აკმაყოფილებს, ყმაწვილებისთვის საკმაო ადგილის უქონლობის გამო. სკოლაში შესვლის მსურველნი ბევრნი არიან. ამის გამო ყმაწვილები ისევ სახლში რჩებიან, სკოლაში შესვლის გზა არა აქვთ. თუმცა, მართალია, აქ ბ-ნ ავ. იოსელიანს თავისი სკოლა აქვს გამართული, მაგრამ ის წელიწადში ერთ თუმნად იყვანს თითო ყმაწვილს და ეს ფული გლეხ-კაცისათვის სხვა მოთხოვნილებასთან ერთად ძნელი მოსახერხებელია. ამისთვის უნდოდათ, რომ ამ საქმის გამო ელაპარაკნათ და ვითომ მესამე მასწავლებელი მოეწვიათ კერძოდ და ჯამაგირი დაენიშნათ მისთვის, რომ ამ სახით ყველას შვილებს შეძლება ჰქონდა შემდეგისათვის სკოლაში შესვლისა.

ფ. გ.

---

**დ. ცხინვალი.** 28-ს ივნისს დაბა ცხინვალში დიდ ლიახვის პირზედ (ცხინვალის ხიდის გამოღმა) პატარა ლიახვზედ ხიდის გასაკეთებლად იყო გამართული გასართობი საღამო საგანგებოდ აშენებულ ფოთლის პავილიონში. წარმოდგენილ იქმნა ანტონოვის სამ-მოქმედიანი კომედია „მზის დაბნელება“, წაკითხულ იქმნა ლექსები და სცენები; იყო გამართული ჭიდაობა ფალავნებისა და, დასასრულ, იქავე ლიახვის პირზედ, იყო გამართული ვახშამი მსურველთათვის, რომელზედაც დაესწრო ორას კაცამდე. საზოგადოდ ხალხი დაესწრო ბლომად და ფული შემოვიდა წარმოდგენიდგან და ვახშმიდგან, ხარჯს გარდა, სამოც თუმნამდე, თუ არ კიდევ მეტი. საზოგადოდ ყველაფერმა წესიერად ჩაიარა. წარმოდგენაში საზოგადოების ყურადღება მიიქციეს ქ. ნ. გაბუნია-ცაგარლისამ, რომელიც ყველგან და ყოველთვის საუცხოვოა თავის როლებში, ბ-ნთ ა. ცაგარელმა, თ. ზაალ მაჩაბელმა და თ. ი. მაჩაბელმა.

სასურველი იქნებოდა, რომ „მზის დაბნელების“ მაგივრად, დროს მიხედვით, სხვა რამ უფრო შინაარსიანი პიესა წარმოედგინათ მოთავეებს. წარმოდგენას დაესწრო საკმაოდ გონება-წარმატებული ხალხი, რომლისათვისაც „მზის დაბნელებას“ არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა.

მშვენივრად და ბლომად წაიკითხა ლექსები თ. ნ. ერისთავმა. საუცხოვო იყო ბ-ნი ს. მგალობლიშვილი ხალხურ სცენების წარმოთქმაში. ლექსების და სცენების წარმოთქმამ ხალხი აღტაცებაში მოიყვანა: ტაშის კვრას საზღვარი არა ჰქონდა.

მადლობის ღირსია გორის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი ბ-ნი ი. დ. სულხანიშვილი, რომელმაც ამ ჟამადაც შესწირა პატარა ლიახვზედ ხიდის გამართვის საქმეს ღვინო, პური და საკლავი. მადლობისა და თანაგრძნობის ღირსია ცხინვალის ბოქაული ბ-ნი გუგუშვილი, რომელმაც ითავა ეს საქმე და მშვენივრადაც მოაწყო. საყურადღებოა, რომ როგორც წარმოდგენის დროს, აგრეთვე ჭიდაობის დროს და ვახშამზედ წესიერება ოდნავაც არ დარღვეულა. პავილიონში და ჭიდაობაზედ ხალხის ტევა აღარ იყო. ვახშამზედ, როგორც ზემოდაც ვსთქვი, ორასამდე კაცი დაესწრო, მაგრამ არსად არ დარღვეულა წესიერება. ჭიდაობის მოედანი და წრე გაჩაღებული იყო ჩირაღდნებით. ვახშამზედ ანათებდა ფერად-ფერადი ფარნები და ბენგალის ცეცხლი. მადლობის ღირსნი არიან გორის მაზრის თავად-აზნაურნი და თვით ცხინვალელებიც, რომელნიც საკმაოდ ბევრნი იყვნენ მოსულნი ამ შემთხვევისათვის, რის გამოც მთელს ცხინვალს სადღესასწაულო ფერი დაედო. საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ამოდენა ხალხში არაფერი უწესოება არა მომხდარა, არა დაკარგულა-რა.

დასასრულ არ შეგვიძლიან მადლობა არ ვუძღვნათ ყველა იმათ, ვინც წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღეს: კნეინა ეფ. ა. მაჩაბლისას, ქ. ლ. ჟურულისას, ე. ქ. ანტონოვსკისას, მ. გ. გუგუშვილისას, ე. მ. იარალოვისას; ბ-ნ სვიმონიძეს, ბ-ნ ი. ხიმშიაშვილს, ბ-ნ ს. მურადოვს, თ. ვ. გ. მაჩაბელს, ა. ს. მაჩაბელს, ცხინვალის მამასახლისს ოვანოვს, ვ. შერმაზანოვს, მამასახლისის თანაშემწეს ოსაშვილს. ყველა ესენი ჰზრუნავდნენ წარმოდგენისათვის: გაჰმართეს პავილიონი, დაჰყიდეს ბილეთები. კნ. ა. მაჩაბლისამ შესწირა ბუფეტისათვის სხვა-და-სხვა ხილი.

## უცხოეთი

**ინგლისი.** ირლანდიის ბედ-იღბალი აწინდელ არჩევნებზედ არის დამოკიდებული. თუ გლადსტონმა გაიმარჯვა და სამეფო საქმეებს სათავეში დაუდგა, ამ სასოწარკვეთილებამდის მისულ ხალხსაც ბედი ეწევა. ლიბერალების და კონსერვატორების ქიშპობა მხოლოდ ირლანდიის გამო არის ასე გამწვავებული.

ეს აზრი გლადსტონმა ცხადად გამოსთქვა ედინბურგელ ამომრჩეველთა წინაშე. „უმთავრესი საზრუნავი მთავრობისა ირლანდია უნდა იყოს, სთქვა ლიბერალთა მოთავემ, და თუ გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა, ირლანდიაში თვით-მმართველობას შემოვიღებთ. არ გეგონოთ, რომ ინგლისის ერთის ნაწილის ამ გვარმა თვით-მმართველობამ ან სამეფო გაანაწილოს, ან დიდ პარლამენტის ძალა და მნიშვნელობა შეასუსტოს. თავის შინაურ, ადგილობრივ საქმეებს ირლანდია თვით უნდა განაგებდეს—ოღონდ შემდეგის პირობით: 1) ბრიტანიის პარლამენტს სრული უფროსობა ექნება ირლანდიაზედ. 2) ირლანდიაში თვით-მმართველობამ უფრო სამართლიანი ხარჯის გაწერა უნდა გამოიწვიოს. 3) თუ უმრავლესობამ ძალა დაატანა უმცირესობას, შეიძლება ზოგ-ზოგმა მაზრამ სურვილი გამოაცხადოს—ირლანდიას გვინდა გავეყაროთ და პირდაპირ დიდ პარლამენტთან ვიქონიოთ დამოკიდებულებაო—ეს სურვილი შესაძლოა შეწყნარებულ იქმნას. 4) ყოველი კანონი, რომელიც-კი ირლანდიისათვის იქნება შედგენილი, შოტლანდიასა და ინგლისსაც უნდა შეეხებოდეს, იქაც უნდა სრულდებოდეს; ამას მოითხოვს პრინციპი სამეფოს სხვა-და-სხვა ნაწილის თანასწორობისა, და 5) ამ ქვეყანას თვით-მმართველობა სრული უნდა მიეცეს და, შემდეგში, მინიჭებულის შემცირება ან გაუქმება შეუძლებელი უნდა იყოს. მხოლოდ ამ ღონისძიებით შეიძლება მოისპოს ის არეულობანი და ხშირად სისხლის ღვარიც, რომელიც აღარ შეწყდარა ამ უბედურს ქვეყანაში ეს თუნდა ორმოც-და-ათი წელიწადია. ნიშნს გვიგებენ ჩვენი მოწინააღმდეგენი—მეცნიერებისა და სიმდიდრის წარმომადგენელნი: დიდი გვარიშვილები სულ ჩვენკენ არიანო; ამათ დროც ბევრი აქვთ, რომ საქმე შეისწავლონ და პოლიტიკური გამოცდილებაც მეტიო. მაგრამ გადახედეთ ამ საუკუნის ისტორიას. ყველა პოლიტიკურ საქმეში—ვაჭრობას შეეხება, სარწმუნოებას, თუ მონების განთავისუფლებას—შემცდარნი ყოველთვის ეს მდიდარნი და მეცნიერნი გამომდგარან და ერი-კი, თითქო ზეგარდმო შთაგონებით იყოს გატაცებულიო, ყოველთვის ჭეშმარიტებასა და სიმართლეს ეტანება. ირლანდიას, როცა ინგლისს შემოუერთეს, დაჰპირდნენ, დაკარგულ თავისუფლების წილ იმავე კანონებს მოგანიჭებთ, რაც თვით ინგლისშიაო, პოლიტიკურად თქვენ და ინგლისელნი თანასწორნი იქნებითო. განა ასე მალე ივიწყებენ დაპირებას?“

თითქო ამ სიტყვის პასუხად სტენლიმ, რომელიც გლადსტონის მოწინააღმდეგეა, ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა ლემბეტში, სადაც უფრო მეჭურჭლენი სცხოვრობენ. ამ სიტყვის დროს მსმენელთა შორის სტვენა და ყვირილი არ შეწყვეტილა. ორატორს თანდათან ბრაზი ერეოდა და სიტყვა ასე დაამთავრა: „თუ ამირჩიეთ, ჩემს სამსახურს ქვეყნისადმი შემდეგის წინადადებით დავიწყებ: „გლადსტონმა თავი შეგვაწყინა, ახლა-კი დავასვენოთ; პენსია დავუნიშნოთ და მოგვშორდეს, პარლამენტში ფეხს ნულარ შესდგამს. თუ, ღმერთმა-კი დაგვიფაროს, ისევ მინისტრობა ეღირსა, დაჰღუპავს ჩვენს სამშობლოს!“

სტენლის შემდეგ იმისმა ცოლმა ილაპარაკა: „განა არ გიხარიანთ, რომ ეს ჩინებული, ძლიერი კაცი, აფრიკის უშიშარი გამომკვლეველი, დეპუტატად გეყოლებათ? განა სიამაყეს არა ჰგრძნობთ, როცა მოგაგონდებათ, რომ ისტორიაში მოიხსენებენ თქვენს საქციელს, თუ ჩემი ქმარი ამოირჩიეთ? იცით, რამდენი შესძინა სტენლიმ ჩვენს ქვეყანას? ჩვენ ვაჭარნი ვართ და ვაჭარს მუშტარი ეჭირვება; სტენლიმ კონგო შეგვძინა, რომ ჩვენი საქონელი იქ გაგვეყიდნა. თუნდა ჰურჭელი აიღეთ: რამდენ ჰურჭელს გავასაღებთ კონგოელ ხალხში?“

დედაკაცი პოლიტიკაშიაც-კი ქვაბ-ქოთანს წასჩხირავსო—დაიყვირა ერთმა მსმენელმა სტენლის ცოლის ლაპარაკზედ. სტენლი არ ამოირჩიეს.

## წვრილი ამბავი

ამერიკაში ერთ გვარი წაღები მოუგონიათ, რომელიც ძლიერ მოწყობილია სარეკლამოდ. წაღის ძირში მოთავსებულია პაწია ლითონის რგოლი, რომელშიაც საბეჭდავ ასოებით რეკლამაა ამოწყობილი. განსაკუთრებულის მოწყობილობით ამ ანაწყობს ასოებს სალიტოგრაფიო საბეჭდავი წამალი ესმევა, მერე ქუსლთან მოექცევა, აქ ქუსლი აწვება და რეკლამა იბეჭდება. ამ მანქანა-წაღების მომგონი ასეთის წაღების ტარებას განსაკუთრებით იმათ ურჩევს, რომელთაც კენჭი ჰსურთ იყარონ არჩევნების დროს. მაგალითებრ, ვსთქვათ, შმიდტს უნდა დეპუტატად ყოფნა. იყიდოს ასეთი წაღები, ჩააწყოს სიტყვები „მე ამომარჩიეთო“, თავისი სახელი და გვარი, და იაროს იმდენსავე პროკლამაციას დაჰბეჭდავს, რამდენსაც ნაბიჯს გადასდგამს. წაღების მომგონი არ უარჰყოფს ამასაც: შეიძლება ისეც მოხდეს, რომ სხვა ვინმემ მეორე წყვილი იყიდოს ასეთის წაღებისა, ამოწყოს: „შმიდტი უმაქნისი და სამაგელ კაციაო“, ფეხ-და-ფეხ მიჰყვეს შმიდტის კვალს და გვერდზედ ეს კიცხვა-ინება ამოუბეჭდოსო.

— უნგრეთის ქალაქ არადში ერთს ადგილობრივს შეძლებულსა და ამასთან მეტად ხუმარა კაცს ძალიან ძვირად დაუჯდა თურმე თავისი უკანასკნელი ხუმრობა. თავის დაბადების დღესასწაულის რამდენსამე დღეს წინ ამ ხუმარამ მოსაწვევი ბარათები დაუგზავნა თავისს ხელმოკლე ნათესავებს, ითონ თავი მოიმკვდარუნა და ბრძანება გასცა მოსამსახურეებს, კუბოში ჩადეთო. თავ-მოყრილი ნათესაობა დიდის სიამოვნებით და სიხარულით მიეგება თავისის შეძლებულ ნათესავის სიკვდილის ამბავს და ერთმანეთს ულოცავდნენ დიდის სიმდიდრის მიღებას და ლუკმის ხელთ მოგდებას. საერთო ხიარულებაში რომ იყვნენ, უეცრად მკვდარმა წამოიწია და ყველას ენა გამოუყო და ცხვირი საცინლად აიბზიკა. იმისაგან გამოფხიზლებულსა და შიშში ალაგ-გამოკლებულს ნათესავებს ძალიან ეწყინათ მისი კვლავ გაცოცხლება და მოღრჯენა, მისცვივდნენ ადგომილს და კარგა მიბეგვეს. გაზეთების სიტყვით, ეს ხუმარა ეხლა ძალიან ავად არის თურმე და შეიძლება, ხუმრობით-კი არა, რიგად წაბრძანდეს ადგილსა მას განსასვენებელსა.

— ამერიკის გაზეთების სიტყვით, ამას წინად ბალტიმორს ჯვარი ერთს ყმაწვილ ქალსა და კაცს სასაფლაოს აკლდამაში დასწერიათ. საქმრო ყოფილა ჩრდილოეთ ამერიკის შტატების ელჩად ნამყოფი დანიაში, პოლკოვნიკი ჯენრიხ შტამპი, საპატარძლო-კი—მარგარიტა ბომბონდი, შვილი ბალტიმორის გარდაცვალებულის გენერალისა. ამერიკელ საპატარძლოს თხოვით, ჯვარის-წერა გადაუხდიათ ქალის მამის საგვარეულო აკლდამაში და მოპატიჟებული სტუმრებიც აქავე ყოფილან.

— ამბობენ, ერთმა ქიმიკოსმა საშუალება მოიგონა და ნდა ლიქიორები კამფეტსავით და შოკოლადსავით მაგარი გააკეთოსო, ასე რომ დღეიდგან ლიქიორსა, კონიაკსა და სხვა მაგარს სასმელებს-კი აღარ დალევენ, არამედ მოკბეჩავენ კიდეც.

## დეპეშა

2 ივლისი

**პეტერბურგი.** „მმართებლობის უწყებაში“ გამოცხადებულია დარიგება, თუ კერძოდ როგორ უნდა გაფრთხილდეს ყოველი ხოლერისაგან.

28 ივნისს სარატოვში ხალხის ბრბომ ქუჩებში უწესოება მოახდინა

იმ გავრცელებულ უაზრო ხმების გამო, რომ ვითომ სამკურნალოში ცოცხალ ხალხსა ჰმარხავენო. თუმცა სამოქალაქო წოდების მოხელენი სცდილობდნენ ხალხი დაემშვიდებინათ, მაგრამ არა გასჭრა. ხალხის ბრბომ გასძარცვა პოლიციის პირველი განყოფილება, პოლიცმეისტერის სადგომი, რამდენიმე ექიმი და დროებითიხოლერიანთა სამკურნალო, საიდგანაც 17 ხოლერით ავადმყოფი გამოათრია. ხალხი იმ ნაირად გამძვინვარდა, რომ ძალ-მომრეობა იხმარა სამკურნალო მოსამსახურეებსა და ზოგიერთ სხვაედაც, რომელნიც სანიტარები ეგონა. 2 კაცი მოკლულია. უწესობის დაწყებისათანავე გამოხმობილ იქმნა ბანაკიდგან ჯარი, რომელიც ძალ-მომრეობის მოსასპობლად იძულებული შეიქმნა იარაღი ეხმარა და სროლის დროს 3 კაცი მოკვდა და დაიჭრა; უწესოება მოსპობილია და დამნაშავენი პასუხის-გებაში არიან მიცემულნი.

29 ივნისს ასტრახანის სამკურნალოში 37 ავადმყოფი მიიყვანეს, 9 გარდაიცვალა, სამკურნალოს გარეშე-კი—92; მაზრაშიაც რამდენიმე გახდა ავად; სარატოვის სამკურნალოებში მიიყვანეს 9, კარგად გახდა 4, გარდაიცვალა 3; წინა დღეს მაზრებში ავად გახდა 70, გარდაიცვალა 51. ერთის კვირის განმავლობაში სიმბირსკის სამკურნალოებში 20 ავადმყოფი მიიყვანეს, რომელთა შორისაც 11 გარდაიცვალა. 29 ივნისს სამარაში პოკროვის სლობოდითურთ ავად გახდა 48, მორჩა 3, გარდაიცვალა 20; ბაქო და იმის ახლომახლო ადგილებში ავად გახდა 47, გარდაიცვალა 29 მორჩა 15; სამკურნალოს გარეშე 36 გარდაიცვალა.

ნიდერლანდის კარის წინაშე მყოფს ელჩს, გრაფს კაპნისტს, სენატორობა ებოძა.

3 ივლისი

**პეტერბურგი.** გუშინ მოვიდა ცეცხლის გემი „ლეო“ ამერიკიდამ გამოგზავნილ ფქვილითა და ხორბალითა შიმშილისაგან შეწუხებულთათვის. „ლეოს“ მიეგება ცეცხლის გემი „პეტერბურგი“, რომელშიაც იყვნენ: გრადონაჩალნიკი, ქალაქის მოურავის მოადგილე, გამგეობის წევრნი, აღმსრულებელი თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობისა ვსევოლოჟსკი და სხვანი. როცა „ლეო“ ნაპირს მიადგა, გრადონაჩალნიკი მიესალმა კაპიტანს „ლეოსას“, მერე სიტყვა უთხრა მოსულებს ვსევოლოჟსკიმ ინგლისურად. ცეცხლის გემის კაპიტანს მიუძღვნეს ვერცხლის სალაპარაკო საყვირი, ზედ გამოსახული ჰქონდა პეტერბურგის გერბი, კაპიტანის თანაშემწეს—ვერცხლის თასი. მიგებებულთა შორის იყვნენ რწმუნებული ცალკე კამიტეტისა გრაფი ბობრინსკი და ამერიკის საელჩოს წევრნი. გაგზავნა და განწილვა მოტანილის ფქვილისა და ხორბლისა მინდობილი აქვს გრაფ ბობრინსკის, ვაგონებში მოთავსება—წარმომადგენელს ნიკოლაევის რკინის გზისას.

**ლონდონი.** სიმლიდამ დეპეშით იუწყებიან: ხაზარასებმა იუარეს ემირის მიერ შეთვლილი შერიგება; ჰშიშობენ, რომ შემდეგში ბრძოლა გაძლიერდებაო. კალკუტიდამ „Times“ სწერენ, რომ მთელი თემობა ხაზარასებისა, შეიჰა-ალი-ხანის გარდა, აღუდგა ავღანის ემირსაო.

პეტერბურგის ბირჟა, 30 ივნისს

| | მყიდველ-ნისა. მან. კ. | გამყი-დველისა. მან. კ. | გაყიდუ-ლისა. მან. კ. |
|---|---|---|---|
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 8,06 | 8,09 | —,, |
| ტამოჟნის კუპონები . | 161¼ | 162 | —,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . | 1,08 | 1,10 | —,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | —,, | —,, | 238¼ |
| —მეორისა . . . . | 220½ | —,, | —,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . | —,, | 192½ | 192¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6% . . . . . | —,, | —,, | —,, |
| 5% . . . . . | —,, | —,, | —,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% . | —,, | —,, | —,, |
| 5% . . . . . | —,, | —,, | —,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | —,, | —,, | —,, |

**გამოსადეგი ცნობანი**

ღიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

„ . . . , . „ . 6 ს. 50 წ. საღ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისს მიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კვირაობით ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ორშაბათობით, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ორშაბათობით: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პარასკეობით, დილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კვირაობით დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, განადისაითს.

ფოთიდგ გადის:ან

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობთისაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

ნიხრი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

თეთრი პური რუსული 1 გირ. „ კ.
წითელი „ 1-ის ხარისხ. „ „ „
„ „ 2
თონ. წით. პურ. 1 ხარ. „ „ „
„ „ „ 2 „ „ „
„ „ „ 3 „ „ „

ჯვარის მამის პურის ლავაში.

1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. კ.
მე-2 „ „ „ „ .
მე-3 „ „ „ „ „
ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა 8 „
„ „ 2 „ „
სუკი — — — 14 „
ცხვრის ხორცი — — 9 „
ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. 7 „
მე-2 ხარ. ტყავიანად 6 „

# განცხადებანი

„წერა-კითხვის საზოგადოების“ **წიგნის მაღაზიამ**

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ბნელო, მოთხრობა ნ. მელანიასი . . . . . . | „ | 40 |
| ქართული კედლის კალენდარი 1892 წ. . . . | „ | 20 |
| თხზულებანი ალ. ყაზბეგისა (მოჩხუბარიძისა) ავტორის სურათით და ფაქსიმილეთ. I, II და III ტომი თითო ტომი. . | 1 | 40 |
| იგივე მშვენიერს ქაღალდზედ და მშვენიერის ყდით, თითო ტომი ცალკე . . . . . . | 2 | 50 |
| სამივე ტომი. . . . | 7 | „ |
| სამზარეულო ქართულისა და ევროპიულის საჭმელებისა . . . . . | 1 | 80 |
| თხზლებანი ი. დავითაშვილისა . . . . . . | „ | 20 |
| მარაბდა, პოემა ან. ფურცელაძისა . . . . . . | „ | 20 |
| წყალობა პოემა მისივე . | „ | 20 |
| სურამის ციხე მოთხრობა ჭონქაძისა . . . . . | „ | 25 |
| თამარ, სპარსული ლეგენდა . . . . . . . | „ | 10 |
| დემონი ლერმონტოვისა, თარგმანი მამია გურიელისა. . . . . . | „ | 15 |
| ცდა I, II და III ნაწილი. თითო ნაწ. ცალკე. . | „ | 50 |
| სხვერპლი, მოთხრობა დ. კარიჭაშვილისა . | „ | 30 |
| აქვთები ბოთხრობანი დ. ერისთავისა . . . . . | „ | 50 |
| ონიკე ერისთავი, ისტორიული პოემა აკაკისა . | 1 | „ |
| კიკოლიას ნაამბობი, პოემა მისივე . . . . . . | „ | 20 |
| პატარა-კახი ისტორიული დრამა ლექსად მისივე . | „ | 50 |

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 10 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (150—68)




ტფილ. გამოფენა.




ვერცხლისა




ოქროსი

## ЗАВОДЪ
## МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
## А. А. ТУТАЕВА.

*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*

Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-типографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

## ალექსი თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით ვაზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფეტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირაიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრაბკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემსგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბეი გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—24)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია“

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით. | 10 მ. | —კ. | 6 | თთვით | 6 მ. | —კ. |
| 11 | „ | 9 „ | 50 „ | 5 | „ | 5 „ | 50 „ |
| 10 | „ | 8 „ | 75 „ | 4 | „ | 4 „ | 75 „ |
| 9 | „ | 8 „ | — „ | 3 | „ | 3 „ | 50 „ |
| 8 | „ | 7 „ | 25 „ | 2 | „ | 2 „ | 75 „ |
| 7 | „ | 6 „ | 50 „ | 1 | „ | 1 „ | 50 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში № 21.

Дозв. ценз. Тифлисъ, 3-го Іюля 1892 г
სტამბა მ. შარაძისა.
რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.